სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/44

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ნ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 14 ივნისის №5 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-04/119 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) მე-8 მუხლის:

გ.ა) მე-7-მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დეკანს ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში და სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.

8. დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი ბრძანებით.

9. სასწავლო დარგში დეკანის მოადგილის ძირითადი კომპეტენციაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი, დეკანის დავალებათა შესრულება, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობისას, დეკანის მოვალეობის ავტომატურად შესრულება.

10. დეკანი და დეკანის მოადგილეები წარმოადგენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პერსონალს.";

გ.ბ) მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ.გ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. დეკანის მოადგილე მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში:

ა) ფაკულტეტის დეპარტამენტებთან ერთად ხელმღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევითი პროექტების განხორციელების ორგანიზებას;

გ) უზრუნველყოფს ახალგაზრდა მკვლევრების და მეცნიერების ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში;

დ) ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის განვითარებაში ხელშეწყობას;

ე) დოქტორანტების მუშაობის ტექნიკური საკითხების კონტროლს, სადისერტაციო საბჭოებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას;

ვ) სამეცნიერო საგრანტო კონკურსების შესახებ დოქტორანტების ინფორმირებას;

ზ) უზრუნველყოფს უცხოეთის უნივერსიტეტებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას;

თ) სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას;

ი) საერთაშორისო ორგანიზაციებში ფაკულტეტის გაწევრიანებას;

კ) უცხოელი სტუდენტების მოზიდვა/რეკრუტირებას;

ლ) საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიებას და მასში ფაკულტეტის ჩართვას.".

დ) დებულების მე-12 მუხლი ამოღებულ იქნეს.

ე) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები. კოლეგიები იქმნება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით.".

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**